

# ახალგაზრდა იმპერიელი

სუთხაბათი,  
19 აპრილი,  
1990 წ.  
№ 43 (11529)

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ МОЛОДЕЖНАЯ ГАЗЕТА «АХАЛГАЗРДА ИВЕРИელი»

შპს 3 კპპ.

## ინტერფრონტის ორგანიზატორთა წრასთან ანუ მსიროდანი აქსურსი ისტორიაში

საქართველოში გასსმა სიტყვები — შევქმნათ ინტერფრონტი, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მსგავსად ჩვენთანაც მოინდომეს ავსტომოსურნებმა და პოლიტიკურად აბლომუნდვლებმა ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგო ორგანიზაციის შექმნა.

თუ რას წარმოადგენს ეს „ინტერფრონტი“, „ინტერდვიენიები“ და ყოველგვარი „სოიუზების“ ჯგუფები (გინდაც ეს დეპუტატებისა იყოს), ჩვენ კარგად ვიცით ბოლო წელიწადნახევრის მთვლენებით ესტრანჯიზმში, ლატვიაში, ლიტვაში და მოლდავიაში, როცა მათ გაფიცვები მოაწყეს ამ რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ.

ისე კი, უნდა ვთქვათ, რომ ასეთი ხრიკებისათვის წარსულშიც მიუძღროდას დღეისათვის ბალკანონგრეულ საბჭოთა რუსულ იმპერიას, უფრო სწორად კი მისი მოსახლეობის შო-

ვინისტრად, ეგოსტურად განწყობილ რუსულენოვან ნაწილს, რომელთაც ლოზუნგად ყბადღებულ „სოციალისტური ინტერნაციონალიზმი“ აუფარებდათ. სინამდვილეში კი დიდძალ-ყრობელურ ამბიციებს მიმართავდნენ, ავრცელებდნენ უხამს პროკლამაციებს, რომლებშიც ცრემლ-ღვრიან „აყვავებული ფედერაციის, ძლიერი საბჭოთა კავშირის“ დაშლის გამო, სინამდვილეში კი მათ აღმაშობის გზაზე მდგარი ქართული ეროვნული მოძრაობა უნდათ ჩაახშონ.

ასე იყო 1918 წელსაც, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. მაშინაც ასე გაპყვიროდნენ ჩვენი მტრები, გვლანძვადნენ, გვაგინებდნენ და ნაციონალისტებს გვიწოდებდნენ.

თქვენს წინაშეა სარედაქციო სტატია, რომელიც 1918 წლის 23 აგვისტოს დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. (სტილი დაცულია — ს. კ.)

„ჩვენ ვართ დემოკრატიული ქვეყანა, ჩვენი სამშობლო — საქართველო დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოვაცხადეთ.“

ამიტომ ასისინდნენ ჩვენი მტრები, რომლებიც მიჩვეული იყვნენ ურცხვად ბატონობას და დღეს ვერ ურიგდებიან თავისუფალ და დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქეობას.

გვამტყუნებენ: საერთო კავშირი და ფრონტი დაარდვიტ, დამოუკიდებლობის გამოცხადებით დემოკრატიას უღალატეთო.

უსინდისონი!

მათ კარგად იციან, რომ ჩვენ საერთო მტრებს პირველნი ვუშვებდით მკერდს, პირველ რიგში ვებრძოდით საერთო მტარვლობას, ბრძოლის ველისთვის არასოდეს ზურგი არ გვიჩვენებია, ხოლო ჩვენ დავტოვეთ რუსეთი მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენმა დღევანდელმა მამტყუნებლებმა დაარდვიტს ყოველი ფრონტი, ყოველგვარი ერთობა და მოლაღატური მახვილი ჩასცეს თავისუფლებასა და დემოკრატიას.

ისინი იმ ქურდებით იქცევიან, რომლებიც მონაპარი ნივთებით ხელში გარბიან და გაპყვირიან — ქურდები დაიჭირეთო.

კარგად ვიცით მტრების ეს ქურდული ფსიქოლოგია.

გვამტყუნებენ: „თავისუფლებას არ გვამტყუნებ, ჩვენს თავისუფალ პრესას ხდევნიეთო და რესპუბლიკაში არ გვაყენებთო“.

არც კი წითლდებიან სირცხვილისაგან! ამას გვეუბნებიან ისინი, ვინც მონობისა-

დმი გუნდრუკის კმევით და თავისუფლების დათრგუნვით იყო მარად ცნობილი.

როდის იყო, რომ თქვენ ხიმდახლესა და უსამართლობას ებრძოდით, როდის იცავდით ვისმე უფლებას, ვისმე თავისუფლებას, რომ ახლა აღტკინებულხართ თავისუფლებისადმი სურვილით და ერთგულებით?

სხვათა დამონების და დაპყრობის მოციქულები როგორ ახწავლიან ჩვენს დემოკრატიას სხვათა უფლების და თავისუფლების პატივისცემას?

ისე კი, რაც მთავარია, მართალია, არ ვფიცავთ, ერთ რამეში ისინი მართლნი არიან და გვაქვს ასეთი „ცოდვა“: სასტიკად ვებრძვიტ ყველას, ვინც საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ილაშქრებს და ძირს უთხრის ჩვენ დამოუკიდებლობას და დემოკრატიულ თავისუფლებას. დავტუქსავთ რესპუბლიკის დამატყვევართ, მტარვლობის მქადაგებელთ და ქართული ენის მოლაღატებებს და შეიძლება ისინი კიდევ განვდევნოთ, თუ მშვიდად არ იქნებიან. აბა, ვინ, რომელი ჭკუათმყოფელი კაცი გააჩერებს გველს სახლში?

ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი სამშობლო და თავისუფლება.

გვამტყუნებენ: დაწესებულებათა ნაციონალიზაციას ატარებთ, ინტერნაციონალიზმს და დემოკრატიზმს ზურგს უბრუნებთო.

ჩვენ დაწესებულებათა ნაციონალიზაციას თანდათანობით ვახდენთ, რადგან ამას თხოულობს საქართველოს რესპუბლიკის არსე-

ბობის აზრი და სახელმწიფოებრივი ინტერესები.

როგორ არ იციან რომ რესპუბლიკურ, თავისუფალ საქართველოში ველარ იბატონებენ რუსეთის ანტიქართული ჩინოვნიკები? საქართველოს სახელმწიფოში ქართული სახელმწიფური დაწესებულებები უნდა იყოს, ესაა სწორედ სუვერენული, რესპუბლიკური სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ნიშანი.

საქართველოში რუსული ენის ბატონობა, რუსული დაწესებულება, რუსი მოხელის პარაზი, რომელმაც საყველბურ ქართული არ იცის — ეს რუსეთის შავრაზმელობის პოლიტიკური ფილოსოფიაა, დიდყრობელის შოვინიზმი და იმპერიული ინტერესებია.

სწორედ ასეთი შოვინიზმის და იმპერიული აზრებით არიან დასწეულბულები სამწუხაროდ დღეს მრავალი, „სოციალ-დემოკრატი“ იქნება ეს, „სოციალ-რევოლუციონერი“ თუ „ბოლშევიკი“. მათ არ იციან რას ამბობენ, თორემ თავის დიდ ნამდვილ ნაციონალისტურ ქადაგებას ინტერნაციონალიზმად როგორც მონათლავდნენ, ისინი სულ სხვადასხვაა, „შუა უზის დიდი მზღვარი“.

სხვა რა დავაშავეთ?

სრულიად არაფერი, გარდა იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ და თავს ვიცავთ ყოველი ხიფათისაგან.

სწორედ ეს არ უნდათ გვაპატიონ, მაგრამ ჩვენ შანიბალურ ფიცსა ვდებთ, რომ არც ჩვენ ვაპატიებთ მათ საქართველოს ხალხის და მისი დემოკრატიის მტრობას“.

იმდროინდელ საქართველოში მრავალი რუსული გაზეთი გამოდიოდა: „ბორბა“, „გოზრაქდენი“, „რუსკოე სლოვო“, „ტრუდოვოიე ზნაშია“, „მისლი“, აგრეთვე სომხური „პარიზონი“, „შეპიკი“, „შეპატორი“, რომლებიც ხშირად ანტიქართულ იდეებს და ლოზუნგებს ავრცელებდნენ. ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი იდეების გამტარებლად ზოგჯერ თვით ქართველებიც გამოდიოდნენ — გადაგვარებული, „რუსეთში“ ქართველები: ზემოთხსენებულ რუსულ გაზეთებში დაბეჭდილა ვინმე ბ. ლ. ყიფიანის სტატიები, რომელშიც იგი ბრალს სდებდა მთავრობას არაქართველთა დევნაში. ამის საპასუხოდ გაზეთი „ალიონი“ წერს: „ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა ყველა არაქართველთ ებრძვის, თუ მხოლოდ იმ არაქართველთ, რომლებსაც მიზნად დაუსახავთ მთელი ჩვენი სახელმწიფური არსებობის გაუქმება და საქართველოს დაღუპვა? სოქვან პირდაპირ და დაუფარავად: რესპუბლიკის სახელით ებრძვიან თუ არა იმ ქარ-

თველ მოლაღატებებსაც, ჩვენი დამოუკიდებლობის მტრებს, ეროვნებით ქართველებს და ჩვენი ხალხისაგან განდგომილებს?

და თუ ეს ასეა, რა წინაპირობები უფლება აქვთ ამ გადაგვარებულ კალმონებს ურცხვად ხწრონ და ავრცელონ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მარტო არაქართველებს ებრძვიანო.

არა, ბატონებო! ჩვენ არაქართველებს კი არ ვებრძვიტ ჩვენს ტერიტორიაზე, არამედ ჩვენ ვებრძვიტ საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს, ვინც უნდა იყვნენ ისინი.

როგორც ჰხედავთ, რესპუბლიკის მთავრობა არ პატიობს არც იმ რუსებს, რომლებიც შეთქმულებას აწყობენ ჩვენს წინააღმდეგ და არც ფილიპე მახარაძესთანა ვაუბატონებს, რომლებიც თავიანთ რიგებში იწვევენ შორეულ უცხო ტომის მანქანადა, გახრწილ ნაძირალა ტერიტორიებს და ამგვარი, „სახელმწიფო“ სახელით ესხმიან თავზე საქართველოს რესპუბლიკას და მის ხალხს“.

საქართველოში „ინტერფრონტის“ ორგანიზატორები სწორედ ის არაქართველებია, რომელთაც ვერ ვაუბიოთ, ვერ შეუგინათ დღევანდელი ვითარების მნიშვნელობა და ყოველნაირად ცდილობენ საქართველოს ე. წ. საბჭოთა ფედერაციის შემადგენლობაში დატოვებას. პირდაპირ ვთქვათ, ვინ არიან ეს არაქართველები. ესენია რუსი მოსახლეობის ნაწილი, უმეტესად სამხედრო მოსახლბურები, რომლებიც თბილისში ხანგრძლივად ცხოვრობენ, ესენია ოსების და აფხაზების ჯგუფები, რომლებიც ფიქრობენ თავიანთი კომფორტული მდგომარეობის შენარჩუნებას, მათ ვერ ამოუგლიათ თავიდან ფიქრი ქართული ეროვნული მოძრაობის მოსპობაზე და რომ ეველებური აღარ გასდით, ახლა ლანძღვა-გინებზე გადასულან, უსაქმურებს

გვიწოდებენ და თვითონ არიან უსაქმური, რამეთუ მოკლათუბულან ამ მადლიან მიწაზე და თავი ნამდვილ საბჭოთა პატრიოტებად, ინტერნაციონალისტებად მოაქვთ და გულში ისევ „შორიკა სტრანა“ ს მღერიათ. მაშ, რაღა ჩვენ გვეუბნებიან — დაიღუპებით, თუ ფედერაცია დაარდვიტო. თუ მათ გული ნამდვილად შესტკივთ საბჭოთა კავშირის მდგომარეობაზე, წავიდნენ მაშინ და მიხედონ რუსულ მიტოვებულ გაპოცირივლებულ სოფლებს, მიხედონ ვოლგას, ლადოგას, ბაიკალს, აზოვს და შემდეგ გვასწავლონ ჭკუა. ჩვენ სამშობლოს არავის ვართმევთ, მაგრამ ჩვენსასაც ნურვინ შეგვეცილება. თუ მოყვარეს მოყვრულად ვხვდებით, მტრებისათვისაც შეგვიძლია პასუხის გაცემა. დაე, ხუ გვაიძულებენ ამის გაკეთებას.

საქართველოში მრავლად არიან ის რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები და სხვა ერების წარმომადგენლებიც, რომლებმაც მხარი აუბეს ქართულ ეროვნულ მოძრაობას, რომლებმაც თავიანთი წარსული, აწყულო და მომავალი საქართველოს დაუკავშირეს და ქართველი ხალხის ფიქრ-მინებები გაითავისეს. ჩვენ მივესალმებით ასეთ ადამიანებს, ვინაიდან ისინი გამოხატავენ თავიანთი ხალხის მოწინავე პროგრესულ, დემოკრატიული და ჰუმანური ნაწილის აზრს. მათ იმედი უნდა იქონიონ, რომ ქართველები არავის არ დაჩაგრავენ, არავის არ გაუწევენ დისკრიმინაციას და ეროვნების მიხედვით არ გამოარჩევენ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტივში 1918

წლის 26 მაისს ზომ სწორედ ამ ზოგადსაკაცობრიო პრინციპებმა პპოვა გამოხატულბა: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანახმობად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, ხარწმუნობისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარებს თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს“.

სიმონ კილაძე,  
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

# საგარეო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

17 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა ლორთქიფანიძემ მიიღო ქალაქ ნიუპორტის (დიდი ბრიტანეთი) დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ნიუპორტის კოლეჯის რექტორი მეღ ჰარისი. ინგლისელი სტუმრები რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოწვევით ქუთაისსა და ნიუპორტს შორის პარტნიორობის ხელშეკრულების ფარგლებში.

ვაჟა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსა და ინგლისს შორის უშუალო საქმიანი და მეგობრული ურთიერთობის გაფართოებას. მან გამოთქვა რწმენა, რომ ქუთაისისა და ნიუპორტის პარტნიორული ურთიერთობები ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ხალხთა შორის ურთიერთგაგების შემდგომ განმტკიცებას.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ პარტნიორი ქალაქების თანამშრომლობას პრაქტიკული ხასიათი მიეცა. მაგალითად, ამას წინათ დაიდო ხელშეკრულება ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პე-

დაგოგიურ ინსტიტუტსა და ნიუპორტის კოლეჯს შორის მეგობრობისა და საჭიანი ურთიერთობის შესახებ. ქართველი სტუდენტები ისწავლიან ინგლისში, ხოლო ინგლისელი სტუდენტები — საქართველოში. დასახულია მასწავლებლებისა და ასპირანტების, კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენელთა დელეგაციების გაცვლა. მიღწეულია მორიგება ჟურნალისტების გაცვლის თაობაზე, რომლებიც სამ თვეს იმუშავებენ ქუთაისისა და ნიუპორტის გაზეთებში.

ამას წინათ ქუთაისში გაიხსნა სტუმრების დელეგაციაში შემავალი ინგლისელი მხატვრის ჯონ სელვეის ნაწარმოებების გამოფენა. თავის მხრივ, ნიუპორტელნი გაეცნობიან ქუთაისელი მხატვრების ნამუშევრებს გამოფენაზე, რომელიც ინგლისში იხსნება მიმდინარე წლის მაისში. მალე ქუთაისს ეწვევიან ინგლისის რელიგიური მოღვაწეთა, ქალთა, მასწავლებელთა დელეგაციები, შემდეგ ნიუპორტში მორიგ ვიზიტად გაემგზავრება ქუთაისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დელეგაცია.

(საქინფორმში).

# მაინს დაოუპიდელობა

პროფკავშირი რომ ნებაყოფლობითი ორგანიზაცია უნდა იყოს, ეს სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის პირველ ყრილობაზე გავიყვ. სიმართლე ვითხრათ, აქამდე საბჭოთა პროფკავშირი არათუ ნებაყოფლობითი, პირიქით, ძალდატანებითი ორგანიზაცია მუშაკთა პროფკავშირის წევრობის დამადასტურებელი წიგნაკი არასოდეს მიიწავს, არც ამ კავშირის რაიმე „სიყვითლე“ მისარგებლობა და დღემდე არ ვიცი, თუ რას ხმარდება ჩემი ხელფასიდან სრულიად უცერემონიოდ გადარიცხული პროცენტები.

დღეს, მეტნაკლებად, შესაძლებელი გახდა ტაბუდირებული პრობლემებზე საუბარი. მართალია მხოლოდ საუბრით საქმე შორის ვერ წავა, მაგრამ, იქნებ, საუბარს ზოგჯერ ვაბედული კონკრეტული ნაბიჯიც მოჰყვება, მაგალითად ისეთი, როგორც საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის მესვეურებმა გადადგეს.

ოცდაათი წლის წინათ, როდესაც დაარსდა პროფკავშირის საბჭოს თავმჯდომარის ოსებ კაციკაძის ხელმძღვანელობით, შეიქმნა პროფკავშირის პროგრამისა და წესდების პროექტები. ამას წინათ ჩატარებულმა ყრილობამ განიხილა და მოიწონა პროგრამა და წესდებაც და მედიკოსებმა შექმნეს სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის კავშირი, რომელიც არც ერთ სხვა საქვეყნო თუ რესპუბლიკურ პროფკავშირულ ორგანიზაციას არ ემორჩილება. სასიხარულო და მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ მოდი, გავერკვეთ, თუ რამ აიძულა მედიკოსები, ასეთი რადიკალური ნაბიჯი გადაეღათ.

ბატონ იოსებთან საუბრისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მხოლოდ ამგვარი რადიკალიზმი თუ იხსნის სხვა დარგობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებს საქვეყნო თუ რესპუბლიკური პროფკავშირების კაბალისაგან.

ყველა უბედურების სათავეს ოციანი წლებისაგან მივყავართ, როცა რუსეთის პროფკავშირი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნასთან დაკავშირებით, სასწრაფოდ გადაკეთდა სსრკ პროფკავშირების საქვეყნო საბჭოდ. გულბრწყვილობა იქნებოდა იმის ვაფიქრება, რომ ოციანი წლების შემდეგ რაიმე შეიცვალა პროფკავშირების სტრუქტურაში.

დღემდე საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირიც, რესპუბლიკის სხვა 27 დარგობრივ პროფკავშირთან ერთად საქვეყნო და, შესაბამისად, საქართველოს პროფსაბჭოს ემორჩილებოდა.

მხოლოდ ბოლო ოთხი წლის მანძილზე მედიკოსთა ხელფასიდან საწევროების სახით გადარიცხა 2 მილიონი მანეთი. არაფერ იცის, თუ ეს, ან რას მოხმარდა ეს თანხა. კიდევ ერთი მილიონი მანეთი ავკალის სანატორიუმ-პროფილაქტიკური მშენებლობას „შეეწირა“, თუმცა ეს შენობა რატომღაც ტურიზმის საბჭოს გადაეცა...

რაიონების სამედიცინო დაწესებულებათა პროფკავშირებში ხომ სრული განუთხოვლობა სუფევდა: ზმირად უსაფუძვლოდ ათავისუფლებდნენ თანამშრომლებს, დაუსწავლად ითხოვდნენ სამსახურიდან საპენსიო ასაკის მქონე მუშაკებს. ერთ-ერთ რაიონში კი სანეპიდსადგურის ურთულეს უბანზე მომუშავე გამოცდილი მედიკოსი გაათავისუფლეს და მის ნაცვლად კომპა-

შირის კომიტეტის მდივანი დანიშნეს, განათლებით ეკონომისტი. მსგავსი აბსურდული სიტუაცია რომ აღარ შეიქმნას, საჭიროა დარგის პროფკავშირის საბჭოს სრული უფლება ჰქონდეს, სწორედ ამ პრობლემებზე გაამხვილოს ყურადღება, რაც მედიცინის სფეროში მომუშავეებს აწუხებთ, და არ იყოს ვალდებული, გამოვიდეს თავს მოხვეული პროფკავშირის ზოგადი პრინციპებიდან, რომლებიც შექმნის დღიდანვე მოძველებულია. მედიკოსთა ახალი პროგრამა და წესდება სრულიად ითვალისწინებს ამ დარგის მუშაკთა მოთხოვნებს, გარდა ამისა, ცდილობს შეიქმნის დაგვირგავე რეალურად გაერთიანოს აქამდე ვითომ ერთიანი აკადრის, აფხაზეთის, სამაჩაბლოს და დანარჩენი საქართველოს მედიკოსთა პროფესიული კავშირი.

წესდების მიხედვით მედიკოსთა დამოუკიდებელი პროფკავშირი თავის საქმიანობას ატებს შემდეგ საფუძველზე, „ხელმძღვანელი პროფკავშირული ორგანიზების არჩევითობა ქვემოთან ზემოთ; მათი სისტემატური ანგარიშგება თავისი ორგანიზაციების წინაშე, ვადწყვეტლებების კოლექტიურობა და უმცირესობის აზრის გათვალისწინება“.

იქნებ დანარჩენმა დარგობრივმა კომიტეტებმაც იზრუნონ და იბრძოლონ დამოუკიდებლობისათვის და სწორედ ამ გზით დაიანხონ რესპუბლიკურ პროფსაბჭოს თვითლოკვიდაციის აუცილებლობა. ეს ძალზე მტკივნეული და წინააღმდეგობრივი პროცესი იქნება, მაგრამ თუ კი ჩვენ დამოუკიდებლობასაკენ მიმავალ ეკლან გზას დავადექით, უკან აღარ უნდა დავიხიოთ.

თამარ ჩხატარაშვილი

# ვიზიტად აფხაზეთში

აფხაზეთის ეწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ა. პავშენცევი. საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობისა და სკკპ XXVIII ყრილობისათვის აფხაზეთის კომუნისტთა მხადების დროს ავტონომიურ რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვეყანაში, იმართება დისკუსიები სკკპ ცენტრალური კომიტეტის საყრილობო პლატფორმის შესახებ, ქვეყნის კომუნისტებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის და წერილობით დაკავშირებით პარტიულთა როლისა და ადგილის თაობაზე.

სწორედ ამ თემაზეა საუბარი ჩალაქ სოხუმის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანებთან შეხვედრაზე. ა. პავშენცევი შეკრებილთ ესაუბრა რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარებაზე, იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მხადება საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობისათვის.

საუბრის დროს შეეხნენ აფხაზეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების საკითხებს. ქალაქის პარტიული ორგანიზაციების მდივანებმა წუხილი გამოთქვეს სოხუმში, მთლიანად ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაციის გამო. სინაწლით აღინიშნა, რომ ოგრობა ერთგული ნიშნების მიხედვით კოლექტივების და ორგანიზაციების გამოქვინს ტენდენცია.

ორატორებმა გააკრიტიკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, აფხაზეთის საოლქო ორგანიზაცია, თვითკრიტიკ-

ულად აღიარეს, რომ არ არსებობს ჯერჯერობით პრინციპული ერთგულებით შორის ურთიერთობის სტაბილიზაციის მთელ რიგ საკითხებში. აღინიშნა, რომ თითოეული კომუნისტი დღეს თავის მოქმედებას უნდა უთანხმებდეს პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის დებულებებს, პარტიის წესდების მოთხოვნებს.

სერიოზული სჯა-ბასი გაიმართა ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკაში შექმნილი სიტუაციის გამო. აღინიშნა, რომ მთელ რიგ დარგებში, როგორც საქართველო, ისე აფხაზეთში, ჩამორჩებიან დასახულ პროგრამას.

აშ. პავშენცევი შეხვდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებსა და წევრობის კანდიდატებს. გაიმართა აზრთა გაზიარება რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საკითხებზე.

ა. პავშენცევი ეწვია აგრეთვე, სოხუმის გაზის აბარატურის ექსპერიმენტულ ჯარხანას, საკოლმეურნეობათშორისო გემთშემკეთებელ ჯარხანას, სახლთსაშენებელ კომბინატს, აფხაზეთში „ტრესტს“, დათავალიერა ტელეცენტრის მშენებლობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს დაურსვეს მრავალი კითხვა, რომლებიც ეხებოდა სოციალური სფეროს განვითარების, შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესების, ბინების მშენებლობის პრობლემებს.

(საქინფორმში).

# მანანათოშენებლობის ტექნიკა

კუბი დღემდე მხოლოდ ტექნიკისგან აზნადებდა. სექტემბრიდან კი იგი კოლექცად — უმაღლეს პროფესიულ სასწავლებლად გადაკეთდება და გამოუშვებს კადრებს უმცროსი ინჟინრის დიპლომით. ამის თაობაზე გვესაუბრება სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ბატონი ალექსანდრე ელიოზიშვილი.

— ბატონო ალექსანდრე, საქართველოსთვის ხიანდებელი წარმოადგენს კოლექცის ტიპის სასწავლებელი. როგორ იქნება ის, უსტად გაიმორებს საზღვარგარეთს, უკვე არსებულ სტრუქტურას თუ განსხვავებული ფორმის იქნება?

— არა, სტრუქტურა მთლიანად არ იქნება გამოირეხული. ჩვენს კოლექცში ორსადგურთაგან სწავლება დაწერულია. მოგაზნადებთ არაგრაჟული მართვის ჩარხებისა და რობოტ-ტექნიკური კომპლექსების ექსპლუატაციის ტექნიკოსებს. ეს არის სწავლების პირველი საფეხური, საიდანაც მოხდება მოსწავლეთა შერჩევითი გადაყვანა მეორე ეტაპზე. მოსწავლეები მიიღებენ ავტომატრებულ წარმოებაში პროგრამული მართვის ელექტრონული სისტემების გაწყობისა და ექსპლუატაციის სპეციალობას. კოლექცის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ უმცროსი ინჟინრის დიპლომი და სწა-

# კიდე პირთი სიასლა

ვლის გარკვევების მსურველთ შესაძლებლობა ექნებათ უმაღლესი სასწავლებლის მესამე კურსზე ჩაირიცხონ ე. ი. ჩვენ ვამზადებთ როგორც ტექნიკოსებს, ასევე უმცროს ინჟინრებს. ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ, რომ სექტემბრიდან სწავლება ახალ სისტემების მოსწავლეებს ამის შესაძლებლობა მხოლოდ მომავალი წლიდან ექნებათ. მიმართულება ალბათი გვაქვს ლითონის ქრით დამუშავებაზე. ჩვენი აზრით, საწარმოებს ყველაზე მეტად სწორედ რომ ამ განხილს სპეციალისტები ესაჭიროება. აქვე დავძენ, ჩვეულებრივ მისაღები გამოცდები ჩატარდება მათემატიკაში, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში.

— ხომ არ გაუჭირდებათ თქვენს პედაგოგებს კოლექცის ტიპის სასწავლებლებში მუშაობა?

— პედაგოგიური კადრების ნაწილი მართლაც მოუზნადებელია. ამიტომაც მოეწყობა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამისი კათედრების პროფესორ-მასწავლებლები, ასისტენტები და საწარმოების სპეციალისტები.

— გარკვეულწილად ტექნიკის განვითარება განსაზღვრავს ეკონომიკის სიძლიერეს და თუკი გვხურს დავდეთ მოწინავე ქვეყნების გვერდით, აუცილებელია შევიძინოთ მათი გამოცდილება, დავამყაროთ მათთან კონტაქტი.

— რა თქმა უნდა, ეს კადრების მომზადების დონესაც გავრცობს და ჩვენთვისაც ხელსაყრილი იქნება, მაგრამ ჯერჯერობით ამისი მატერიალური შესაძლებლობა არა გვაქვს. ეგ კი არა, სოციალური პირობები ვერ მოგვიგვარებია. სპორტული მოედანი გასაფართოებელია, შენობა — გასაახლებელი, საერთო საცხოვრებელი — ასაშენებელი... მომავალში გვენდა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა. ყველაფერის ალბათ მათი თუ ეშველება. თუ როდის დაინერგება ეს სიხალე, ისევე ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ კადრებსაც მივაწოდებთ ჯარხანებს, იმისა მინდვით მოხდება წარმოებებთან ხელშეკრულების დადება. ყოველ შემთხვევაში, მატერიალური სიძლიერე საზღვარგარეთთან კავშირის საშუალებას მოგვცემს.

ესაუბრა  
ქათინო საბიაშვილი

# ინფორმაცია

17-18 აპრილს საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა კონფერენცია „თავისუფალი საქართველოს ახალი ეკონომიკური სისტემა“.

კონფერენციაზე იმსჯელეს დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის მართვის პრინციპებსა და მათი დამკვიდრების გზებზე.

კონფერენციაზე მოწვეულნი იყვნენ ერთგული მოძრაობის პოლიტიკური პარტიები და საზოგა-

დობრივი მოძრაობები, საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები, საწარმო ხელმძღვანელები, კოაპერატორები, ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, სპეციალისტები და მეცნიერები სხვადასხვა რეგიონებიდან.

ერეკლ მასალას კონფერენციის მუშაობის შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

# სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების მიმართვა

## საქართველოს ვებინარული სამსახურის მუშაკებისადმი

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ვეტერინარიის მთავარმა სამმართველომ მიიწონა და გავიყვინა 1989 წლის 8 ნოემბრის ქ. მოსკოვში ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას სრულიად საქვეყნო ვეტერინარული ასოციაციის შექმნის თაობაზე. გადაწყვეტილია შეიქმნას საქვეყნო დაქვემდებარების რესპუბლიკური ასოციაცია. 1990 წლის 1 მარტის № 5-21-72 წერილით სამმართველომ მიმართა საქართველოს რეგიონების ვეტსამსახურებს, დაავალა ჩატარონ კონფერენციები და წარმოადგინონ დელეგატთა სიები რესპუბლიკური ვეტერინარული ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენციისათვის, რომელიც ა. წ. 20 აპრილს უნდა გაიმართოს.


დღეს, როცა საქართველო იბრძვის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის, ცდილობს თავი დააღწიოს საქვეყნო დაქვემდებარების მარწმუნებს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ სფეროებში, ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს სეპარატისტული გადაწყვეტილება უნდა მივიჩნიოთ ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგო აქციით, მკრებელურ ნაბიჯად და ცენტრის ძალაუფ-

ლების განმტკიცების მორიგ მცდელობად.

თავად იდეა ვეტერინარული ასოციაციის შექმნისა მისაღებია, მაგრამ ასოციაცია (თუკი მისი შექმნა აუცილებელია) უნდა იყოს რესპუბლიკური და სრულიად ეკონომიკის მქონე. რუსთაველის საზოგადოებას მიაჩნია, რომ სსრკ ვეტერინარული ასოციაციის წესდება უნდა უარყოფთ და უარი ვთქვათ საქვეყნო დაქვემდებარების რესპუბლიკური ასოციაციის შექმნაზე.

მოუწოდებთ საქსახარმრეწვის ხელმძღვანელობას, ვეტერინარიის მთავარ სამმართველოს სათანადო შეფასება მისცენ თავიანთ გადაწყვეტილებას საქვეყნო დაქვემდებარების რესპუბლიკური ასოციაციის შექმნის შესახებ და უარი თქვან ამგვარ ქმედებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილების მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე მათ დაეკისრებათ.

რუსთაველის საზოგადოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია



**შარშან, ზუსტად ერთი წლის წინ, 19 აპრილს**  
**სხალთის ხეობაში ჩამოცველმა სოფლებს**  
**მთამ გვერი ქართველის სიციხესე უზიარა...**

„ნეტარ არიან მკვლევარნი გულითა,  
 რამეთუ იგინი ნუგეშისცემულ იქნენ“.

# სადაც ჭირთა მთებში ქართველები ცხოვრობენ

ეს, ალბათ, ჩვეულებრივი, თან-  
 მისდევრული წერილი არ გამოვა;  
 ბევრია სათქმელი, გამოუთქმელი  
 სათქმელი; ბევრია ისეთი, თქმაც  
 რომ არ შეიძლება... ნუ ვაგვი-  
 რებთ ამიტომ შრავალწერტელთა  
 სიმრავლე...  
 გასული წლის 23 აპრილს, აჭა-  
 რის სტიქიური უბედურების დროს  
 დაღუპულთა გლოვის დღეს გა-  
 ზეთ „ომენისტი“ დაიბეჭდა ჩემი  
 წერილი „ჭირთა მთებში რჩეულთა  
 ხვედრია“; გაზეთის რედაქციამ  
 წერილი შეკვეცა; ახლა სწორედ  
 იმ მოკვეცილი („წმენდაში მო-  
 ყლოლი“) ნაწილით მინდა დავი-  
 წყო:  
 ჩვენი ერი საკუთარი თავის შე-  
 ცნობის შემდეგ შევუბნელებოდა  
 ცხლანთი იგვირგვინის მარადიულ მო-  
 ლოდინს... ღვარცოვან მოვარდ-  
 ნილი მტერი წაღვეს და ხოლმე  
 საქართველოს, მაგრამ რომელი-  
 დაც კუთხე ისევ იწყებდა ფენი-  
 სივით განახლებას, ისევ აღდგე-  
 ბოდა (და სრულიად საქართვე-  
 ლოს მოედებოდა) ნაცარში გადა-  
 ნახული ნაკვერჩხალი — თავისუ-  
 ფლება... ბოლო ორი საუკუნეა  
 ქართველები თვითღამილებას  
 მივყავით (ვერ დაიჭირეთ მოყვ-  
 რულად მოსული ჩრდილოელი მე-  
 ზობლის ზრახვითა სიაცვ); ჩვენზე  
 ბანგით იმოქმედა „მფარველის“  
 ჩაგონებამ, რომ გადაგვარჩინეს,  
 ფიზიკური გადამენება აღარ გვე-  
 მუქრებდა... ამ „ძილის“ პერიოდში  
 („ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძი-  
 ლი, ძილი, როსდა გვედრისოს  
 ჩვენ ვაღვიძებ?“) ჩვენ დავიშა-  
 ლეთ არა მხოლოდ ავტონომი-  
 ბად და „კუთხური განწყობი-  
 ლის“ მქონე კუთხებზე, არამედ  
 საკუთარი თავისა და ოჯახის მარ-

ჩენალ ინდივიდებად. გავითოვ-  
 ცდით და სულიერი კატასტროფის  
 ბირას აღმოგჩნდით... „მაგ შარშა-  
 თში საწამლავს ხვამ, იცოდით“ —  
 მოგვძახდნენ ჩვენი ერის რჩეუ-  
 ლი შვილები; გვაფრთხილებდნენ,  
 მაგრამ... „ბედნიერი ერი“ (ილია)  
 ვერ გამოაფხიზლა ვერც წი-  
 წამურმა, ვერც კოვარმა, ვერც  
 30-იანმა წლებმა, ვერც დიდ იმ-  
 პერიათა შორის კინკლაობაში უა-  
 ზროდ დაღუპული 300 000 ქართ-  
 ველის იმ სისხლმა, 1941-45 წლებ-  
 ში რომ მოარწყო აღმოსავლეთ ევ-  
 როპის ტრამპლები, ვერც სისხ-  
 ლიანმა 9 მარტმა...  
 ვერ გამოვფხიზლოთ, კვლავ  
 პირადი კეთილდღეობა და პიროვნ-  
 ეული ამბიციებია ჩვენი მიცდუ-  
 ნებელი, „ნატურის ზიდან“ ერთი  
 ეუბოდი მასწავლებლა: რამდენჯერ  
 უნდა შემოგვეკვირებოდა სილა,  
 გონს რომ მოგვეგოთ?!...  
 ...და უზენაესის ნებით, ჩვენდა  
 სახსენლად, ჩვენს დაბინდულ თვა-  
 ლთა ასახულად, სისხლიანი აპრი-  
 ლი ჩამოწვა; „ნიჩბიანი ურჩხუ-  
 ლის“ დამორგუნავ ცადასულ სუ-  
 ლემს სტიქიონის მიერ შეწირულ-  
 ნი მიჰყვენენ... აპრილს აფხაზეთი-  
 სა და სამხაბლოს სისხლიანი დღე-  
 ები მოჰყვა, და ბოლოს, წიწმუ-  
 რის უბედურების გვერდით სათქ-  
 მელი ბორთის ავტოკატასტროფა...  
 ...ახლა თითქოს ყველაფერი  
 ნათელია, ეროვნული მოძრაობის  
 მიერ სწორი გზაც ნაპოვნია, მაგ-  
 რამ ზოგს მაინც სძინავს, ზოგიც  
 ისევ დაბინდული მზერით და-  
 ღის...  
 ...დღეს 1989 წლის 19 აპრილს

დაღუპულთა წლისთავია და მხო-  
 ლოდ 19 აპრილზე უნდა ვილაპა-  
 რაკო...  
 ყოველი ფაქტი, სულ ცოტა,  
 ორი ასპექტით უნდა შეფასდეს:  
 როგორც ყოველდღიური ცხოვ-  
 რების ბუნებრივი ან უბედური შე-  
 დეგი და როგორც მარადიული  
 ცხოვრების რაიმე ნიშანი —  
 ღვთიური მინიშნება... 19 აპრილი  
 ტრავმულად დაღუპულ ქართვე-  
 ლთა მოგონების დღეა, ტკივილი-  
 ანი, სახეჩამოხოცილი შავოსანი  
 დედების დღეა, ცრემლმეყვინული  
 ყაბების დღეა... 19 აპრილი ზე-  
 ციური განგებით შეწირულ ზე-  
 რაკთა დღეა, იმ სულთა დღეა, ვი-  
 სი შეწვევითაც მასიურად დაიწყო  
 მტრული ხელის მიერ დაბნე-  
 ნულ თვალთა ახელა, ქართლოსის  
 სამეცხვიდროს უკვე გაუცხო-  
 ბულ კუთხეთა აღორძინება, სხვა-  
 დასხვა ქართულ მხარეთა ხელ-  
 ხალი შედუღება — ერთმანეთის  
 ახლოს შეგრძნება... სხალთის ეკ-  
 ლესიაში დათბეულ იმ სანთელ-  
 თა დღეა, რომლებიც გველვეშა-  
 თან მებრძოლ წმინდა გიორგის  
 გზას უნათებენ...  
 ...მოგა დრო და თავს აიწვეს,  
 იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირ-  
 ი“ — გვიმედობს „სულმნათი  
 საქართველოსი“... აქ ამირანი-სა-  
 ქართველოს სიმბოლოა, ამირანის  
 უტეხი სული ქართული სულის ხა-  
 ტია; ამირანის ცხოვრების გზა,  
 ქართველი ერის ცხოვრების გზა,  
 ამირანის ფეხი ბუნება, ქართუ-  
 ლი ხასიათია... ამდენად, საქართვე-  
 ლოს ყველა კუთხის თავგადასა-  
 ვალი ამირანის თავზე გარდასულს  
 ემსგავსება...  
 ახლა აჭარაზე ვლაპარაკობთ:  
 აღარ დავიწყებ შორეული ის-

ტორიდან — შორს წაგვიყვანს  
 ძველი დრო...  
 აჭარის მკვიდრი დიდხანს ებ-  
 რძოდნენ თურქ-დამპყრობლებს,  
 მაგრამ დაქუცმაცებული საქარ-  
 ველოს ეს განაპირა კუთხე ვერ  
 გადაურჩა ტყვეობას; აჭარამ (სა-  
 ერთოდ, ისტორიულმა მესხეთმა)  
 იმ მხეცაბუკის (თუ მხეცთუნახ-  
 ვის) როლი შეასრულა, მსხვერპ-  
 ლად რომ მოხვდა გველვეშაბი ქარ-  
 თულ ზღაპრებში; მსხვერპლის მი-  
 ლის შემდეგ ურჩხული სოფლის  
 სამყოფ წყალს გამოუშვეს —  
 აჭარის ჩანთქმით საქართველოს  
 სხვა კუთხეები (გურია, იმერეთი,  
 სამეგრელო...) გადაურჩა თურ-  
 ქებს...  
 დმერთის წყალობით, აჭარა ოს-  
 მალეთმა ვერ მოიხელა და და-  
 ნამომარჯვებული ამირანი შავი ვე-  
 შაბის გვერდიდან გამოვიდა, მაგ-  
 რამ თავის თანამომეებთან (ქარ-  
 თლი, კახეთი, იმერეთი...) ერთად  
 სხვა, წითური ურჩხულის მუცე-  
 ლში აღმოჩნდა... ისევ სისხლი...  
 და თითქოს ეს ყველაფერი საქ-  
 მარისი არ იყო: დაღი განახლ-  
 ბის, სულიერი აღზევების ჯამს,  
 ისევ მსხვერპლი მოითხოვა განგ-  
 ბამ: 9 აპრილი, 19 აპრილი...  
 ...შარშან, ზემო აჭარაში, ერთ-  
 მა მოხუცებულმა მითხრა: 9 აპ-  
 რილს დაღუპულთაგან არცერთი  
 ჩვენი მხარედან რომ არ იყო, უფ-  
 რო მეტად მეტკინა გული...  
 „საქართველოს ყველა კუთხის  
 შვილი იქ იყო, ზოგი განგებამ  
 შეგვიწყალა, ყველა რომ დავლუ-  
 პულიყავით, ზვალ, ზეგ ვინდა უნ-  
 და მივიღეს ერის სამსხვერპლო-  
 ზე“ — შეგვიდრე ბეროყავს... მა-  
 შინ 9 აპრილის წმინდა მოწმენი  
 და 19 აპრილის ტრაგედიის მსხვე-

რპლი ერთად ვერ წარმოვიდგი-  
 ნე...  
 ახლა ვფიქრობ, რომ 19 აპრილს  
 გარდაცვლილი (ძველ ქართულ-  
 ში „გარდაცვალება“ ადგილის გა-  
 მოცვლას ნიშნავს) და 9 აპრილის  
 გმირები ქართველი ერის გამოფ-  
 ხიზღებისა და გაერთიანების სი-  
 მბოლოდ ერთიანად იქცნენ; ქარ-  
 თულმა ტანჯულმა სულმა ერთი-  
 ანი კენესით გამოხატა ერის სხეუ-  
 ლზე მიყენებული ორივე ტკივი-  
 ლით გამოწვეული განცდები (სა-  
 ქართველოს სხვადასხვა კუთხეში  
 ყოველ სუფრასთან ერთი სასმისით  
 სვამდნენ 9 და 19 აპრილს დაღუ-  
 პულთა შესანდობარს)...  
 დღეს საქართველო თავისუფ-  
 ლებისკენ მიიღრის ქართულად  
 ომხაზინი, მრავალხმიანი, საბრძო-  
 ლო სიმღერით; ამ ხმათაგან ერთ-  
 ერთი გამორჩეული აჭარიდან მო-  
 ლის, კუთხიდან, სადაც წლის ნე-  
 ბისმირი დროს ერთ დღეში იხი-  
 ლავ ზამთარსაც და ზაფხულსაც,  
 სადაც მიწის ყველა გოგია გამო-  
 ყენებულ გამარჯვებულსა, სა-  
 დაც ცეცხლოვანი ცეკვები შეიქ-  
 მნა; კუთხიდან, სადაც ქართველთა  
 ასაკლოდ აქციენ თამარის ხიდე-  
 ბი თურქ-სეღუჯეებმა; სადაც დი-  
 დხანს ავიწროვებდნენ ქართულ  
 სულს და ენას რუსი ოკუპანტ-  
 ებ; კუთხიდან, სადაც მიიჭ გავ-  
 ტეხელი, ამაყი, კირთამთენი ქა-  
 რთველები ცხოვრობენ... სადაც,  
 დღეს, ერთი წლის წინ დაღუპუ-  
 ლთა სანთლები ხელახლა აინთე-  
 შა...  
 ...ახლა, საქართველოს ცას 19  
 აპრილს აჭარაში გარდაცვლილთა  
 სულები დასტრიალებენ...  
 ბარინელ ფუტკარაძე  
 საქინფორმის ფოტოკრონიკა.

## ისევ აჭარის ავტონომიის შესახებ

ამბარ ჩვენი მამულის წმიდათა-  
 წმიდა ნაწილია, მისი სისხლი სის-  
 ხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია.  
 იგი სათავეა ჩვენი რწმენისა და  
 რელიგიისა და მთელი თავისი  
 დრამატული ისტორიის მანძილზე  
 ატარებს ქართველი ხალხის განუ-  
 ყოველ ბედსაწერას. ვერცერთი  
 ისტორიული განსაცდელისა თუ  
 სტიქიური მოვლენის გარეშე ვერ  
 გადაარჩა აჭარის მიწა და (აჭარუ-  
 ლი) ხალხი, ხოლო ზოგიერთ შე-  
 მოხვედრაში ტანჯვა და წამება ამ  
 კუთხისთვის ორმაგად იქმნა მოვ-  
 ლნილი, თითქოს განგების მიერ  
 გამოცდისათვის...  
 რელიგიური და კულტურის ფე-  
 რისცვლამ, ისლამური ტალღის  
 მოქცევა, იმპერიული ძალადო-  
 ბა, მუქეპილობა დაეხმარა აჭარელთ  
 მუდმივ თანამგზავრად. როგორც  
 ტარიელ ფუტკარაძის სტატიაშია  
 აღნიშნული: 300 წლით ადრე მი-  
 იღეს ქრისტიანობა და განგებამ  
 300 წლით მოაშორა დედა ხამშო-  
 ბლოს აქაურები.  
 მიუხედავად ყოველივე ამისა, აჭ-

არელის ეროვნული სულისკვთე-  
 ბა, მისი ქართველობა ვერანაირად  
 ვერ ამოშანდეს, „ვერ გაათათ-  
 რეს“, „ვერ გაარყეს“ (ვერ ათ-  
 ქმევინეს, რომ სხვა ვარო). ვერ  
 გააუცხოვეს.  
 არც მეოცე საუკუნემ მისცა  
 „წყალობის სიგელი“ ამ კუთხის  
 უნიკიტებს და უღამაზეს ხალხს.  
 ბოლშევიკურმა იმპერიამ (და  
 რუსულ-თურქულმა ალიანსმა), ავ-  
 ტონომიის ბედი დაუწესა მათ სა-  
 კუთარი მიწაზე, საკუთარ მამულში  
 გამოყო იგი ამ სტატუსით და გა-  
 მიჯნა თავისი ხალხისაგან, ამით  
 კიდევ ერთი მარცვალი ჩაგდო მი-  
 სეულ პოლიტიკაში — „გაითშე და  
 იბატონე“.  
 „მოსკოვის რეაქციული ძალების  
 ხელში აჭარის ავტონომია უფრო  
 საშინო კოზირია, ვიდრე აფხაზეთ-  
 ის ან ოსეთის ავტონომიური წარ-

მონაქმნი, ვინაიდან მოსკოვს ყო-  
 ველთვის შეუძლია ეროვნული მო-  
 ძრაობის დაშინება აღნიშნული ხე-  
 ლმეკრულების გადასინჯვის მუქა-  
 რით“ — სავსებით სამართლიანად  
 აღნიშნავს ბატონი ტარიელ ფუტ-  
 კარაძე თავის წერილში „თავისუფ-  
 ლების შოვანი, სჯობს საშოვნი-  
 ლსა ყველასა“ ანუ ვის სჭირდება  
 აჭარის ავტონომია?“, რომელიც  
 „ახალგაზრდა ივერელი“ 17 მა-  
 რტის ნომერში დაიბეჭდა.  
 ჩვენი ვამოხმობებოდა სწორედ  
 ამ წერილში განაპირობა, რადგანაც  
 მიგვაჩნია, რომ იქ საკითხები სწო-  
 რედ არის დასმული და ვთვლით,  
 რომ აჭარის „საქმე“ შესაძლოა  
 ყველაზე მტკიცებულ, გადაუჭრელ  
 პრობლემად იქცეს საქართველოს  
 თავისუფლებისათვის ბრძოლის  
 გზაზე; „ამ კოზირს“ ამოტივტი-  
 ვებს ჯერ რუსეთი, ჩვენი თავი-

სუფლებსათვის ბრძოლის პირველ  
 ეტაპზე და შემდგომ — თურქეთი,  
 როდესაც ფონს გავალოთ...  
 არც რუსეთი, თავისი ნებით და  
 1921 წლის 13 ოქტომბრის ხელ-  
 შეკრულების მოტივით (სხვა რომ  
 არ იყოს) და არც თურქეთი არ  
 მოსთვლებენ აჭარის ავტონომიის  
 გაუქმებას... მაგრამ აჭარის ავტო-  
 ნომის გაუქმებისათვის უნდა  
 იზრუნოს თვითონ ქართველმა ერ-  
 მა, რადგან რუსეთ-თურქეთის გა-  
 რიგება ქართველი ხალხის ზურგს  
 უკან და მისი სრული ოგნორირების  
 პირობებში (მისი ნების გარეშე)  
 მოხდა — აჭარა საქართველოს ხი-  
 სხული ხისხლთაგანი და ზორცი ზო-  
 რცთაგანია, მისი მიწა ქართული  
 მიწის ნაწილია, ერი — ქართველი  
 ერის ნაწილი! ამიტომ აჭარის ბე-  
 დი ქართველმა ხალხმა, უწინარეს,  
 თვით აჭარაში მცხოვრებმა ქართ-

ველებმა უნდა გადაწყვიტონ.  
 როგორც ტარიელ ფუტკარაძე  
 წერს (და არა მარტო ტარიელ ფუ-  
 ტკარაძე), ეს უნდა მოხდეს „რე-  
 ფერენდუმის“ გზით და რაც შე-  
 იძლება დროულად, რადგანაც არ-  
 სებული სიტუაციის შენარჩუნება,  
 ახლო მომავალში დიდ საფრთხეს  
 უქაბის მთელ ქართველ ერს იმ-  
 პერიული ძალების მხრიდან...  
 ჩვენ მოვუწოდებთ მთელ ქარ-  
 თულ საზოგადოებას, ყველა აჭა-  
 რელს... ავტონომიის მომხრეს თუ  
 მოწინააღმდეგეს, დაძლიონ პირო-  
 ვნული ამბიციები, მხარი დაუჭი-  
 რონ საქართველოს ერთიანობის  
 იდეას, შეუერთდნენ ერის სული-  
 ერ მისწრაფებას, და ამით ხელი  
 შეუწყონ რეფერენდუმის მომზად-  
 ებას, რომელიც გამოიყვანს აჭარას  
 სახიფათო ზონიდან.  
 კობა არაბული,  
 გოდარკი იოხელი,  
 ივანე წიკლაური,  
 ზურაბ ცინციძეაძე.

## ხელოვნება და უაქმნილი

ამბარის ავტონომიის შესახებ  
 პრესის ფურცლებზე და მიტინ-  
 გებზე გამოთქმული მოსაზრებები-  
 დან შეიძლება გამოვიტანოთ დას-  
 კვნა, რომ ქართველთა ავტონო-  
 მია საქართველოში ხელოვნურა-  
 და შექმნილი, იგი დღემდე ფორ-  
 მალურად არსებობს და მისი გა-  
 უქმნა აჭარის მკვიდრთა ისტო-  
 რიული მოვალეობა და საპატიო  
 საქმეა. ამჟამად აჭარაზე არ გვა-  
 რგებს, გარკვეული მოსამზადებე-  
 ლი სამუშაოების შემდეგ ავტონო-  
 მის მიზანშეწონილობის საკითხი  
 მხოლოდ რეფერენდუმით უნდა  
 გადაწყდეს.  
 ამჟამად აჭარაში ავტონომიის  
 გაუქმებას ბევრი უქმერს მხარს,

მაგრამ არიან მოწინააღმდეგე-  
 ნი მიმდინარე არჩევნებში კენჭს  
 ვაყრიდი ჩემს მშობლიურ ხელოს  
 რაიონში. მკვიდრ- მოსახლეობას-  
 თან შეხვედრების დროს უფრო  
 სისხლბორცულად გავიზიარე მათ  
 პრობლემები, ტკივილები...  
 მსჯელობები გვქონდა ავტონომი-  
 ის საჭიროების შესახებაც. ხელოს  
 მცხოვრებთა ერთი ნაწილი (ორი-  
 ოდეს სოფელში), რომლებიც მუს-  
 ლიმიანებად თვლიან თავს (ასეთნი  
 საბედნიეროდ ცოტანი არიან) გა-  
 მოთქვამენ შინს, რომ დამოუკი-  
 დებელ ქრისტიანულ საქართვე-

ლოში მუსლიმანთა უფლებები შე-  
 იზღუდებ... ეს შინს უსაფუძე-  
 ლთა, საქართველოში ქართველს  
 არაიან შეზღუდვებს რელიგიური  
 აღმსარებლობის მიხედვით თ-  
 მათ შინს უკან პროკოკატორთა  
 ბნელი საქმიანობა ჩანს და სწო-  
 რედ ამას უნდა ვებრძოლოთ;  
 ვთვლი, რომ ჩვენს ხალხს სწო-  
 რედ აქ სჭირდება დახმარება, და-  
 რიგება და სწორი ორიენტაციის  
 მიცემა. ყველამ, ვისაც კი ეს ხე-  
 ლმეკრულება, ადგილებზე მისვლით,  
 წარმოუბნებ საუბრებით, დღევან-  
 დელობასა და მომავალზე ფიქრით

უნდა აუხსნან ჩვენიანებს, რომ  
 სწორი წარმოდგენა ჰქონდეს სი-  
 ნამდვილეს.  
 საკმაო ხანია ვცხოვრობთ თბი-  
 ლისში (23-ე წელია), მყავს ბევ-  
 რი მეგობარი ბათუმსა და აჭარის  
 ყველა რაიონში, სწორედ ყოფი-  
 ლვარ სტუმრად მშობლიურ სო-  
 ფელში მშობლესა და ნათესავე-  
 ბთან ხელოვნ, მეგობარ, რომ ჩემი  
 კუთხის ხალხს ჭლინსა თუ  
 ვასაჭირზე სრულყოფილი წა-  
 რომდგენა მქონდა, მაგრამ ახ-  
 ლანდელმა შეხვედრებმა ჩვე-  
 ნი ხალხის ბევრი პრობლე-

მა ახლებურად წარმოაჩინა, კი-  
 დევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ  
 პირადი მაგალითით უნდა გავიყო-  
 ლით ხალხი, პირველ რიგში თვით-  
 თონ უნდა ვიყოთ დარწმუნებუ-  
 ლი, ხოლო შემდეგ კი ყველა ახ-  
 ლობელს, მეზობელსა თუ პატარა  
 ზავშეს ხშირად შევხსენებოთ  
 ბრძნული სიტყვები: „განსოვდეს,  
 ვისი გორისა ხარ“.  
 ონისე სურგანიძე,  
 საქართველოს ტექნიკური უ-  
 ივერსიტეტის დოცენტი, ფი-  
 ზიკა-მათემატიკის მეცნიერება-  
 თა კანდიდატი.  
 ავტორის თხოვნით პონორარი  
 გადაიხიციება ხტვიით დაწარაღე-  
 ბულ აქაურეთა ფონდში.

საქართველოს საკვირისუფრო

საქართველოს საკვირისუფრო



საქართველოს ახალგაზრდა იმერიელი

# პატივი ვსაბი პიროვნულ სიმბოლიას!

ყოველდღე დაუშვებლად მიმდინარეობს არ მოვალდებულნი ვართ რეაგირება შევქმნათ ფაქტზე: რიგ შემთხვევებში შეინიშნება, რომ ჩვენი ეროვნული დროის აღმართვისას და პირობის შესრულების დროს, ეროვნულ სიმბოლიას ბატონობს არ სტემატენ მილიციის თანამშრომლები და სამხედრო მოსამსახურენი (არ იმყოფებოდნენ მდგომარეობაში „სმენა“ და ქუდიდან არ ჰქონდათ მიტანილი ხელები). იმდენი სათანადო სამსახურების ხელმძღვანელები ბოლოს მოუღებენ უკულტურობისა და ხალხის ვალდებულების ამ ფორმას, რაც შეეხება სამოქალაქო პირებს, შევხებენ, რომ „დიდების“ შესრულებისას მარჯვენა ხელი გულზე უნდა მივიდეთ.

## ალექსანდრე შლენტი

შემთხვევა, რომლის შესახებაც თქვენ გაიგებთ, არ ვიცი ღირს თუ არა გასახსოვრებლად და გახეობაში გამოაქვეყნებლად, მაგრამ ჩემს სულში მიმიე, წარუშლელი კვლი დატოვა და თანაც თავის დროზე ფიცი დამადგინა, რომ ყველაფერს ვიტყვი. ეს ფიცი და ის მწარე მოგონება ხშირად მახსენებენ თავს და სიტყვის ასრულებას მოხვედრის.

რამდენიმე თვის უკან დავბრუნდი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, სადაც საგადაღებლო სამხედრო სამსახურს ვიხდი. ამბავი, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენებდით, გასული წლის მაისში მოხდა. დღე ჩვეულებრივად ვარჯიშით დაიწყო ჩვენი თვის, საუზმის შემდეგ კი სამუშაოდ გაგვანაწილეს. მე და ჩემს მეგობარს, კითხვარულ მალხაზ მუმლაძეს იარაღის საწყობის დაშლა დაგვავალეს. ვმუშაობდით მთელი მინდობებით, მაგრამ ვამოცდიდით არ გვექონდა და არც რეგულარული გავაწივებდა ვინმე. უეცრად კედლი მოწყდა და წამოიქცა მთელი ფილა. მალხაზი მექანისკურად გვერდზე გახტა და აშკარა სიკვდილს გადარჩა.

